

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი №15

სოფ.ჰერეთისკარი

2019წლის 20 დეკემბერი

შედგა მუშა ჯგუფის შეხვედრა ჰერეთისკარის საბავშვო ბაღში.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - სალომე ღონდაძე.

მოისმინეს: ჰერეთისკარის საბავშვო ბაღში არსებული პრობლემების შესახებ:

საბავშვო ბაღი აშენდა 2018 წელს.ორ ჯგუფში ჩარიცხულია 28 ბავშვი.მოსახლეობის მხრიდან არის მომართვიანობა. ფართის სიმცირის გამო უარი ეთქვათ მშობლებს.

პროდუქტების შესანახი საწყობი აქვთ ძველი საბავშვო ბაღის შენობაში. ცუდ ამინდში პროდუქტების გამოტანა გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. თხოვნაა, თუ შესაძლებელი იქნება ოთახების მიშენება იმისთვის, რომ დაემატოს ერთი ჯგუფი და პროდუქტების შესანახი საწყობი. გარედან შენობის კედლები შესაღებია. ჩამოსაწერია ძველი ინვენტარი.

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე:

სალომე ღონდაძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი №16

სოფ.საქობო

2019წლის 20 დეკემბერი

შედგა მუშა ჯგუფის შეხვედრა საქობოს საბავშვო ბაღში.

შეხვედრას ესწრებოდნენ:


დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - სალომე ღონდაძე.

მოისმინეს:

საქობოს საბავშვო ბაღში არსებული პრობლემების შესახებ:

ბაღში ყავთ 20 ბავშვი, შერეული, ერთჯგუფიანი. არ აქვთ დარბაზი. ექთანს არ აქვს ცალკე ოთახი. არ აქვთ საძინებელი, შესაბამისად არც ინვენტარი.

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე:



სალომე ღონდაძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი №17

2019წლის 20 დეკემბერი

სოფ.მშვიდობიანი

შედგა მუშა ჯგუფის შეხვედრა მშვიდობიანის საბავშვო ბაღში.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - სალომე ღონღაძე.

მოისმინეს:

მშვიდობიანის საბავშვო ბაღში არსებული პრობლემების შესახებ:

ბაღში ყავთ 14 ბავშვი, შერეული, ერთჯგუფიანი. არ ყავთ მწე, მეეზოვე. ჯგუფს არ აქვს ცალკე სამზარეულო. ჭურჭელი ირეცხება სამზარეულოში.

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე:

სალომე ღონღაძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი №18

სოფ.ჭიაური

2019წლის 20 დეკემბერი

შედგა მუშა ჯგუფის შეხვედრა ჭიაურის საბავშვო ბაღში.

შეხვედრას ესწრებოდნენ:


დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - სალომე ღონღაძე.

მოისმინეს:

ჭიაურის საბავშვო ბაღში არსებული პრობლემების შესახებ:

ბაღში ყავთ 65 ბავში სამ ჯგუფში. არ ყოფნით ოთახები, რის გამოც ვერ აძინებენ ორი ჯგუფის ბავშვებს. არ ყავთ მეუზოვე. აქვთ მოლოდ ერთი ტუალეტი ბავშვებისთვისაც და პერსონალისთვისაც. თბებიან შეშის ღუმელებით. შენობა შესაკეთებელია კაპიტალურად. ჩამოსაწერია ინვენტარი.

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე:



სალომე ღონღაძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო კ მ ი №19

სოფ.თამარიანი

2019წლის 20 დეკემბერი

შედგა მუშა ჯგუფის შეხვედრა თამარიანის საბავშვო ბაღში.

შეხვედრას ესწრებოდნენ:


დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - სალომე ღონღაძე.

მოისმინეს:

თამარიანის საბავშვო ბაღში არსებული პრობლემების შესახებ:

ბაღი გარემონტდა 2017 წელს. აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს. ბაღში ყავთ 64 ბავშვი სამ ჯგუფში. ჩამოსაწერია ინვენტარი. ბაღს აქვს დიდი ეზო, რომლის დასუფთავებაც პრობლემაა პერსონალისთვის. დარაჯს აქვს სურვილი შეითავსოს მეეზოვის საქმეც, თუ ხელფასს მცირედით მაინ გაუზრდიან.

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე:



სალომე ღონღაძე